განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია მცენარეთა დამცავი საშუალებების იმპორტისა და მიწოდების მიმართ ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია დღგ-გან გათავისუფლებული იქნეს სპილენძის ნაერთების ფუძეზე დამზადებული პრეპარატების იმპორტი და მიწოდება მსგავსად სხვა დამცავი საშუალებებისა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით საქართველოს საგადასახდო კოდექსის 168-ე მუხლის, 1-ლი ნაწილის ,,მ“ ქვეპუნქტში უქმდება დაზუსტება, რომლის მიხედვითაც იკრძალებოდა 3808 92 100 00 სასაქონლო ქვესუბპოზიციის საქონლის (სპილენძის ნაერთების ფუძეზე დამზადებული პრეპარატების მაგ. შაბიამანი) იმპორტის და მიწოდების დღგ-გან გათავისუფლება.

ცვლილებით დღგ-გან გათავისუფლებული იქნება სპილენძის ნაერთების ფუძეზე დამზადებული პრეპარატების იმპორტი/ მიწოდება და მცენარეთა დამცავი საშუალებების იმპორტისა და მიწოდების მიმართ ჩამოყალიბდება ერთიანი მიდგომა, ისინი მოექცევიან შეღავათიან დაბეგვრის რეჟიმში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

კანონპროექტის მიღება დამატებითი ფინანსური წყაროების მოძიებას არ მოითხოვს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

აღნიშნული კანონპროექტი გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, რადგან 168-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ძ“ პუნქტის საფუძველზე,

მიღებული 2011 წლის 11 აპრილის 173-ე მთავრობის დადგენილებით დღგ-გან თავისულებულდება ამ საქონლის იმპორტი.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება დამატებით ფინანსურ ხარჯებს ბიუჯეტიდან არ მოითხოვს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

სახელმწიფო ახალ ფინანსურ ვალდებულებებს არ იღებს.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობები.

ბ.ვ) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი ფინანსურად დადებითად იმოქმედებს იმ პირებზე ვინც ახორციელებს მცენარეთა დამცავი საშუალებების იმპორტსა და მიწოდებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის თანამშრომლები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია პარლამენტის წევრები ზურაბ ბუცხრიკიძე და მიხეილ ცქიტიშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია პარლამენტის წევრები ზურაბ ბუცხიკიძე და მიხეილ ცქიტიშვილი.